

გზა და ჭეშმარიტება შენ ხარ, ქრისტე, მოგზაური ანგელოზი აწ მოუვლინე მონასა შენსა (სახელი) მფარველად, ვითარცა ოდესმე ტობიას, ყოვლისაგან ბოროტისა ყოველსა კეთილმითვალულებისა შინა უვნებელად დამცველი, სადიდებელად შენდა, მეოხებითა ღვთისმშობელისათა, მხოლოი კაცთმოყვარეო.

დიდება,

ვითარცა ლუკასა და კლეოპას თანა ემმანუს შინა მოგზაურობდი, მაცხოვარ, თანა მავალ ექმენ აწ მონასაცა ამას შენსა, მგზავრობისა მნებებელსა, და იხსენ იგი ყოვლისა ბოროტისა გარემოდგომილებისაგან, რამეთუ ყოველივე ძალ-გიძს, რაოდენიცა გენებოს, ვითარცა კაცთმოყვარე ხარ.

აწ და.

www.mrevli.ge